

# ქართველი განცემი



საქართველოს  
მთავრობის  
კავშირის  
გაზეთი  
№7 (303)

1 ლიაზები -  
1 დეკემბერი 2023

ფასი 150 ლარი

გამოცემა  
თვეში ერთხელ



## რევაზ მიშველაძე

მის აღნაგობას ყველაზე ზუსტად მიესადაგება მშვენიერი ქართული სიტყვა „ზორბა“.

გურამი ზორბა კაცია.

ლამაზ თავს ხშირი, თეთრი, კისერში ჩასული თმა კიდევ უფრო ამრგვალანესრიგებს.

გაბუშტული ცხვირის ზემოთ განზე გაცეული ჭროლა თვალები აქვს და დაბერილი ქუთუთოები.

თვალებს ხშირად მი და მო ატრიალებს, თითქოს ეშინია, ვინმე არ მოეპაროს.

ლაპარაკობს ჩახრინნული ხმით. გეგონებათ, ამ კაცს სახმო სიმები ყელში კი არა, უფრო ქვემოთ, გულში აქვს და გულიდან ლაპარაკობს.

სიბერემ ხორცი შემოაძარცვა და სიმსუქნეში შეკერილი პიჯაკი ნანათხოვარივით აზის ტანზე.

- მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი ბუნკერში ჩასვლის. რა გვინდა ბუნკერში-მეთქი, მაშინვე ვუთხარი ზვიადს. შენ რომ ბუნკერში ხარ და მტერი გარეთ არის, იქ გათავებულია-მეთქი საქმე.

არ დამიჯერა.

ნახავ, რა მოხდება. ხალხი რომ არჩეულ პრეზიდენტს ბუნკერში

დაიგულებს, მოაწყდება აქაურობას და ამ ნაძირლების ხუნტას კუდით ქვას ასროლინებსო.

აღარ შევეკამათე, ზვიადი რომ რამეს გადაწყვეტდა, ვეღარ გადაათქმევინებდი.

არა და, მე ხომ ვიცოდი თბილისის ამბავი.

ხუთი-ექვსი კაცის გარდა არავინ შეინუხა თავი.

ქალაქი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა.

თითქოსდა ეროვნული ხელისუფლება არც არსებობდა.

ჩვენი ბედი აღარავის ანალვლებდა.

ნავახშმევს (რა ვახშამი ჩვენ გვქონდა, პალტომოხურულნი ვიჯექით და ვიციცქნებოდით ცოტას) ზვიადი მეუბნება, ამაღამ გავდივართო.

სად გავდივართ, როგორ გავდივართ-მეთქი, გავიკვირვე.

წუხელის სიგუა მელაპარაკა, დერეფანს გვაძლევენ, ჯერ სომხეთში გადავალთ და მერე ვნახოთ.

კი მარა, მაგნებს ენდობი, დარწმუნებული ხარ, რომ არ დაგვაპატიმრებენ-მეთქი?

კაცური სიტყვა მომცაო. ესეც არ იყოს, ჩვენი ციხეში ყოფნა მაგათ ხელს არ აძლევს, საერთაშორისო რეზონანსის ეშინიათ.

განთიადი ჯერ შორს იყო, რიბირაბოზე, ხუთს აღარაფერი აკლდა, ავტობუსებში ჩავსხედით.

სამი ავტობუსით გავდივართ.

ავტობუსები მაგათი იყო. ზვიადმა მძღოლები დაითხოვა და ჩვენი მძღოლები დასვა საჭესთან. თანაც მძღოლებს ბოდიში მოუხდა, არ გენუინოთ, ბიჭებო, განა არ გენდობით, მაგრამ, ხომ იცით, ეშმაქა არ სძინავსო.

თბილისიდან არ ვიყავით გასულები, ლილოს ასახვევთან სროლა აგვიტეხს.

გავწექით იატაკზე.

ატყდა წივილ-კივილი.

ზოგი ავტობუსის ფანჯრიდან თეთრ კაშნეს აფრიალებდა.

არც ისინი დაინდეს.

სამივე ავტობუსში ჩვიდმეტი კაცი მოგვიკლეს და ცხრა - დაჭრეს.

მე სამი ტყვია მომხვდა; ორი მკლავში და ერთი მენჯის სიახლოვეს.

მერე რაც მოხდა, იცი შენ კარგად.

სომხეთმა რუსის შიშით თავი შეირცხვინა და თავშესაფარზე უარი გვითხრა.

იძულებული გავხდით, ჩეჩინეთში გავთრენილიყავით.

ჩეჩინეთის პრეზიდენტი ჯოხარ დუდავი ზვიადის მეგობარი იყო და კარგად მიგვიღო.

აქეთ თურმე გამარჯვებას ზეიმობდნენ; დიქტატორი მოვაშორეთ ქვეყანას.

ამ გათახსირებულებმა სახელმწიფო ხაზინა გაძარცვეს, რაც ოქრო და ვალუტა იყო, გაიტაცეს.

მეტი ხეირი არ შესულიყოს მის ოჯახში, ვინც ეს თქვა.

ოქრო და ვალუტა კი არა, უკაპეიკოდ ჩავედით ჩეჩინეთში. ჯიბის ფული რომ ჯიბის ფულია, ისიც არ გვიჭყაოდა ჯიბის არცერთს.

ერთხელ ზვიადმა სერიოზულად გვითხრა: ნუ გეშინიათ, სოსო სიგუა მამაჩემის ოცტომეულს ბეჭდავს, იმედია სწრაფად გაიყიდება და სოსო ფულს გამოგვიგზავნისო.

მერე იყო და შეაცდინეს ზვიადი: მთელი საქართველო შენ გელოდება. სიტუაცია რევოლუციურია, ჩამოფრინდი ზუგდიდში. ცოტა ხანს დასავლეთი საქართველო იქნება შენს განკარგულებაში, ერთ თვეში, ასე თვენახევარში ამბოხებული ხალხი შევარდნაძეს დაამხობს და შენ დაგაბრუნებს პრეზიდენტადო.

არ დაიჯერო ეგ ამბავი, ზვიად. შევარდნაძეს რომ უკან რუსი მოჰყვება, შენზე უკეთესად ვინ იცისმეთქი.

ახლაო, მიპასუხა, რუსი თვითონ აქვს თონეში თავი ჩაყოფილი და საქართველოსთვის არ სცალიაო.

ე, თუ არ მოიცალა.

განამარისი ვიყავით, არძინბას დელეგაცია რომ გამოგვეცხადა ზუგდიდში.

ზვიადს შესთავაზეს, აღიარე აფხაზეთის დამოუკიდებლობა და რუსეთთან ჩვენ მოგიგვარებთ საქმეს, ერთ კვირაში თბილისში შენს კაბინეტში დაბრუნდებიო.

ზვიადს ეს მელური წინადადება სასაცილოდ არ ეყო.

რად მინდა, თქვე ბრიყვებო, უაფხაზეთო საქართველო მეო.

დელეგაცია განბილებული წავიდა.

ბალტინის ტანკები რომ გამოჩინენ, ავიკარიონით გუდა-ნაბადი და სამეგრელოს ტყეებს შევეფარეთ.

დავდივართ უგზოდ, უკომპასოდ, ტყიდან ტყეში, სოფლიდან სოფელში. ხან მწყემსების კარავში ვათევთ დამეს და ხან ე. წ. „მონადირის სახლში“. ძალიან რომ აცივდა, ჩამოვჯიხაშკარდით.

გატყობ, ენაზე გადგას კითხვა, შენ როდის და რატომ ჩამოშორდი ზვიადსო.

მედაპრემიერი გუგუშვილი შევრჩით ზვიადს და სამი დაცვის ბიჭი.

შენც ის საზიზლარი ტყუილი იცი ხომ? ჩეკამ რომ მოჩმახა. გურამი საკვების მოსატანად დაგვეტხოვა და მერე აღარ დაბრუნებულაო.

ვფიცავ ჩემს ყველა საფიცარს, თუ ეგ მართალი იყოს.

ზვიადმა თავისი ხელით დაწერა ბრძანება ზუგდიდიდან რომ გამოვედით, ვიცე-პრემიერად და თავდაცვის მინისტრად დამნიშნა.

კი, მაგრამ მე ხომ ფინანსთა მინისტრი ვარ-მეთქი.

მერე იყავი ფინანსთა მინისტრიც შეთავსებითო.

ა, ასეთ კაცს ვუღალატებდი მეე? საქმე აი, როგორ იყო:

ჯვარს ზევით სოფელთან გაგვაჩერეს.

ორი ვილისით ვიყავით.

ხუთი წითელსამკლაურიანი, ავტომატიანი ბიჭი დგას.

ზვიადი და გუგუშვილი წინა მანქანაში სხედან დაცვასთან ერთად. მე და სამი პარლამენტის წევრი უკანა მანქანაში.

ნაბრძანები გვაქვს, მარტო პრეზიდენტის მანქანა გავატაროთო, კატეგორიულად გვეუბნებიან.

ვინ გიბრძანათო, ზვიადმა.

წითელსამკლაურიანებმა პასუხი არ მისცეს.

კიდევ სიტყვიერი შეხლა-შემოხლა და, რას იზამ, დაბრუნდიო, ზვიადმა. დარჩელში წადი და იქ მოგაწვდი ამბავსო.

ასე ჩამომაშორეს ზვიადს. ვინ თუ რამ და რატომ გააკეთა ეს, შენ მიხვედრა არ გაგიჭირდება.

გავიდა ორი თვე და ზვიადი მოკლეს.

როგორც შენ გიყურებ ახლა, ისე ვარ დარწმუნებული, რომ ზვიადი თავს არ მოიკლავდა.

კი იყო ცოტა ნერვიული, მაგრამ ზვიადი ისეთი სულიერი წყობის კაცი იყო, რომ ბოლომდე ბრძოლის წადილი ჰქონდა.

სასონარკვეთილი ზვიადი მე არ მინახავს.

ზვიადის სიკვდილის შემდეგ ვისაც მოგვწვდნენ, ყველანი დაგვაკავეს.

ჩემი სასამართლო სამ დღეს გაგრძელდა.

იმდენი საძაგლობა დამაბრალეს, განაჩენი რომ წავიკითხე, ჩემი თავი შემძულდა.

ოცი წელი მომცეს, მეტი არა.

ზედამხედველს რომ ეძახიან, ჩენ „ნადზორს“ ვეძახით, ჩენ ზე მომაგრებული ბიჭი იყო კოკი

ჯგერენაია.

თორმეტკაციან კამერაში ვზივარ.

ახლაც მახსოვს „14 ბ“ ეწერა გარედან.

ერთ დღეს კოკი მეუბნება, ბატონო გურამ, რამე დააშავე და გაობახტში მოხვდი, სალაპარაკო მაქვს შენთანი. სადილზე ახალმოსულ პატიმარს კისერში ბალანდა ჩავასი და გამაგაობახტეს.

ვზივარ ადინოჩენი.

შემოვიდა ჯგერენაია.

როდემდე პირებ ამ ციხეში ჯდომასო, პირდაპირ მკითხა.

მე აქ ჩემი წებით არ მოვსულვარ-მეთქი.

მეო, მამიდაშენის, ნადუშას გაზრდილი ვარო, ზვიადისთვის სულს ვლევ, შევარდნაე ჭირივით მძულსო.

მამიდა გალში იყო გათხოვილი. კოკი მისი ქმარ-შვილის და მეზობლების სახელებიც კი ჩამომიკავალა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმისი არ იყოს, წყალწალებული ხავსს ეჭიდებოდაო, არ ვიცი, მერამდენე შეხვედრაზე, ვენდე იმდენად, რომ ჯერ ჩემს ცოლთან წერილი გავატანე და მერე ფული შეუთვალე სახლეულს.

კეთილსინდისიერად და სრულიად კონსპირაციულად მომიტანა.

ფული საიდან მქონდა?

სანამ გავმინისტრდებოდი პატარ-პატარას ვბიზნესმენობდი და დამიგროვდა.

ძალიან რომ გავუშინაურდით ერთმანეთს, ჯგერენაიამ მკითხა, გაქცევაზე თუ გიფიქრიაო.

მიფიქრია რომელია, აბა, ოცი წელი ჩემმა მტერმა გაძლო ამ ოთხ კედელში-მეთქი.

მე შეგახვედრებ კაცს, რომელიც ამ საქმის სპეციალისტია. როგორც მე მენდობი, ისე შეგიძლია ენდო იმასაცო.

მომიყვანა პროფესიონალი მთხრელი.

50 დოლარი უნდა ერთი მეტრის გათხრასო, გამომიცხადა კაფანდარა, ყბებჩავარდნილმა, ულალნარბება კაცმა.

თქვენაო, ოცდათორმეტმეტრიანი გვირაბი გჭირდებათო.

ფულს სამუშაოს დამთავრების შემდეგ გამოგართმევთო.

მე, პირველ სართულზე, თქვენი კამერის ქვევით (ჩენი კამერა მეორე სართულზე იყო) ადინოჩენი ვზივარო.

შეუდექი საქმეს-მეთქი, თანხმობის ნიშნად ხელი ჩამოვართვი.

სანამ მთხრელი მუშაობდა, ჯგერენაიამ გაქცევის მსურველი

15 პატიმარი მოაგროვა. მე-16 მე დავუსახელე - ლოთი ქობალია. ვიცოდი, ლოთისაც გაქცევა უნდოდა.

ჯგერენაიამ იმდენი მოახერხა, რომ ჩვიდმეტივეს ერთ კამერაში მოგვიყარა თავი.

ორთვენახევრის შემდეგ ნაზაუზმევს კოკიმ პირველ სართულზე ჩამიყვანა.

თხუნელასავით წარბებიანად გამტვერილი მთხრელი ღიმილზე ვიცანი.

ყული გადავუხადე და ყოველ შემთხვევისთვის ვკითხე, მე ხომ გავეტევი-მეთქი.

ფიქრი წუ გაქვსო, მიპასუხა.

შევთანხმდით: ჯგერენაიას მეორე სართულიდან „გაქცევები“ ხუთ-ხუთი პატიმარი უნდა ჩამოეყვანა.

საერთოდ გაქცევა, შუადლისას, სამუშაო საათებში უფრო მოსახერხებელია. არავინ მოგატყუოს, ღამით სჯობსო. ღამით დაცვა უფრო გაფაციცებულია.

პირველ ხუთეულში მოვხვდი.

ჩემს წინ სამი მიხოხეავს გვირაბი, მერე მე ვარ. ჩემს უკან ლოთია.

შუა გვირაბში გავიჭიდე. ვერც წინ მივდივარ, ვერც უკან.

წინმდრომნი ერთმანეთს ექაჩებიან, ფეხში ჩამავლე ხელი მაგრადო, მეუბნებაჩემი მენინავე, სქელლანჩიანი ბატინკები აცვია. შენც არ მომიკვდე, ძვრა ვერ მიქნეს.

სული მეხუთება. ცივი ღფლი მასხამს.

იყოჩალალოთმა და უკან გამქაჩა.

ხელებიდან და ცხვირიდან სისხლი მდის.

ვეცი მთხრელს.

ხომ გითხარი, ვერ გავეტევი-მეთქი, ყელში ხელი წავუჭირე. ღოლი ხელებში მეცა.

რას შერები, გურამ, შარი გვინდა კიდო ჩენენო?

ახლავე გავასწორებ ყველაფერს, ტუცა „მთავარმა დამნაშავემ“ გვირაბში თავი.

დაახლოებით ორმოც წუთში გამოძვრა.

ა, ბატონი, მიბრძანდით, გავაგანიერე როგორც საჭიროა.

აქ იყავი, არსად წახვიდე-მეთქი, დავუგდე და შევხოხდი.

ცოტა ახლაც გამიჭირდა, მაგრამ გავედით მე და ღოლი სამშვიდობს.

ტაქსმა გამოიარა.

სოფელ სახელში თუ წაგვიყვან-მეთქი.

კი ბატონი, ფულის საქმე არ არისო? გაგვიღიმა.

საიხვეში ჩენი თანამოაზრე, ზიადისტი სინაურიდე ცხოვრობდა, იმასთან ჩამოვხტით.

იმ ღამესვე ლოთიმ წვერი გაიპარსა და მე თეთრი თმა შავად შევიღებე.

თვენახევარს ვიმალებოდით სინაურიდესთან.

ოთხშაბათს (რა დამავინებებს) სამნი მოვიდნენ, იცინიან, დამთავრდა თქვენი ბაირამობა, დაპატიუბული ხართ ორთაჭალის ციხეშიო.

ერთ-ერთი მათგანი ის ტაქსისტი იყო ჩენ რომ სახელში ჩამოგვიყვანა.

მაშინვე მივხვდი ყველაფერს.

კი, მაგრამ, რისთვის იყო ეს

## ნინო დარბაისელი

## ნათლიაჩემი. ცეკვა ქართული

ბევრი არ მახსოვს ნათლიაჩემის,  
ნარბები მახსოვს ხშირი,  
შვილი,  
კიდევ მისი შორი ნამღერი,  
გიტარაზე,  
ექსსიმანზე;

უბნის კაცებში ჩამჯდარი მახსოვს,  
ირგვლივ ლეკბორა აღეს მიერ  
მოშენებული,  
ცალ ფეხზე შემდგარ ხის ფარდულში  
გამოჩეკილი მტრედები რომ  
დაგურგურებდნენ.

ის მახსოვს კიდევ,  
ვიღაცამ  
რაღაც მიმინო რომ მოიყვანა,  
და ის მიმინო გაბრაზებული თვალებს რო-  
გორ აბრიალებდა.  
ცალ ფეხზე ჯაჭვი როგორ ჰქონდა ფრინ-  
ველს მობმული.

ხორცის წითელი, წევისხელა ნაგლეჯი მის-  
ცა,  
ცერზე დაისვა,  
მტრედები როგორ გაფართხალდნენ არე-  
ბრიდან,  
და როგორ უთხრა,  
ხვალ დილით, ადრე  
ჩვენი ბიჭები  
სანადიროდ მივდივართ და ხომ  
ნამოხვალო?

დანარჩენები კითხულობდნენ:  
- ვაჲ, ვისია ეგ მიმინო,  
ვინ გათხოვათ,  
სად იშოვეთო,  
ან აქეთ ფეხზე რეინის რგოლი რაღას ნიშ-  
ნავსო,  
არ იკითხება,  
ზედ რა წვრილად აწერიაო!  
ნადირბის წინ ბევრი არ უნდა  
აქამოთო,  
გაზანტდებაო!

თუკი მიმინო კარგად დაგეშეს,  
გაერდიდან თვალზე ტყავები უნდა აა-  
ფაროთო - მახსოვს  
ურჩია უბნის ლოთმა.

ნათლიაჩემი შესცეკროდა იმ მიმინოს  
თვალმოუწყეტლად:  
მიუგო,  
გმაღლობ, ვერ წამოვალ, არ  
ვნადირობო,  
თქვა,  
ეს არისო ჩვენი ცეკვის მთელი  
ამბავი,  
ერთად ყოფნა,  
ოღონდ უჯაჭვოდ,  
ოღონდ ცაში,  
ოღონდაც ვიდრე მტრედი  
დაფრთხება და  
მიმინოს გაცელება,  
თქვა და წავიდა.

ნათლიაჩემი მოცეკვავე იყო  
ქართულის,  
სხვა არაფერი აღარ მახსოვს  
ნათლიაჩემის.

## ცალილი ცეკვი

როგორი იყო ის სიყვარული?!  
- თავისნაირებს თოთქოს  
ჰეგვადა და მაინც არც ჰეგვადა,  
ფაქზი,  
თეთრი,  
გარე თვალისთვის - მშვიდი,  
შეგნით - ქარიშხლიანი, -  
ტრიალ-ტრიალით  
ნამოსული თოვლის ფანტელი,  
კიდრე წყალში ჩავარდება  
და წყლად იქცევა.

მე მივატოვე, როცა ვიყრძინ,  
რომ ერთმანეთი უკვე ბოლომდე

გვიყვარდებოდა;  
რომ დამტოვებდა  
და მე ვეღარ გადავიტანდი;  
რომ ეს ცეოვრება კი არ იცდის,  
შეუსვენებლად მიდის და თავქვე მიედინება.

მდინარევ, საით?  
მაგ სიმღვრიეში  
აურაცხელი ნაფანტელარი,  
განყალებული სიყვარულია!

## გაპინარა

ეს არ ვიცი, იტალიურ ენას როგორ მოერგე-  
ბა (მაძინარა), ლექსია იმაზე, მაღვიძარა  
რომ რევავს და შენ რომ უფრო გეძინება,  
ადგომა გეზარება

რაც მეტად უნდათ,  
მიგალურსმონ დედამინაზე,  
ფრთებს იქნევ უფრო თავგამეტებით  
და გაფრინდები,  
გაფრინდები,  
საკუთარი წარმოსახვების  
ათასებრადი ათასმოვანი,  
საუფლოსაკუნ.

ჩემი მაღვიძარა - ჩემი მაძინარაა.

თეთრად ნათენები დამის გალევისას  
ჯერ რომ ნაზად შეგასხენებს,  
გაიღვიძეო,  
მერე თანდათან სმას უმატებს,  
აყვირდება, ადექიო  
და ყოველ ჯერზე თვალდახუჭული  
ხელს რომ ურტყამ გასაჩუმებლად.

ამ დროის ძილი,  
დილის ძილი,  
განა არ უდრის მთელი ლამის  
გამოშუბვა- გამოძინებას!?

ჰოდა, ასე -  
ჩემი მაღვიძარა- ჩემი მაძინარა!

## კლდის სახლი. აეგლო-ქალები

აქ - თარგმანში რითმის არაფრით არ მოი-  
დენს. საყურადღებოა ორი სხვადასხვა სამ-  
ყაროს ხეგსურულ- ამერიკულ ინდურის პა-  
ტალელები , ეგზოტიკა და ფემინისტური  
შეფრილობა - მშობიარე ქალის მდგომარეო-  
ბა დაბალგანვითარებად სოციალურ გარემო-  
ში. ხეგსურების ამბავი- მეოცე საუკუნეა.

როგორც ხევსურთა ქალები,  
ბოსლებში ჩაკეტილები,  
ჩაცუცქეთი მობდნენ, მარტონი,  
წვალობდნენ ზნეეთილები,  
თვით გამოჰყავდათ შეილები,  
მენჯებში გაკვეტილები;  
ჭიათურასაც გაუკვანძახდნენ,  
ჭიოთებისგან ჯანმხედილები,  
ბნელმა, ძროხებში ჩჩებოდნენ,  
ძროხებს ეხვიათ ტილები.  
ინმინდებოდნენ ქალები  
წესისგან - უნდონდურები.  
ენატრებოდათ მარტოებს  
საყვედურები დურები,  
კაცები - გარეთ თვრებოდნენ,  
ხდებოდნენ ვით დადაღურები!  
ლხენით უძგერდათ გულები,  
ძის ყოლით გათანგულები,  
ვის-ღა ახსოვდა, გონნასულს  
ქალები - ნაერთობულები.

პებლოელებიც მათ ჰეგვანდნენ,  
კანიონს ჩაკარგულები,  
ინდელები ძველები,  
ბედისგან მონაგუნები,  
სიმინდს, ლობიოს თესავდნენ,  
არ ჰქონდათ ხოდაბუნები,  
ირგვლივ ტიტვლები დიოდნენ,  
ჭრელად ტანმოხატულები,  
ნადირიც ბევრი ეხვიათ,  
მგელი და მელა-ტურები,  
მოანედნენ ევროპელების  
ცხენები დარახტულები

გარეთ ცას ჯანყი მოედო,  
დაქუფრდნენ ღრუბლის ქულები,  
მინაზე სხედან ავდორულად  
ყორნები, არ ძაბუნები,  
არც ირგვლივ რამე წყაროა,  
აღარც რა სავარგულები,  
და მიამბობები ძველ ამბებს  
ტყეები დაბუულები,  
მინდვრები დახრულები,  
მტერთაგან ნანადგურები

მტრედო, საიდან მისულო,  
მე რატომ მეგურგურები!  
დღეს ხვლიკთა სამოსახლოა  
პებლოთა ნასადგურები.

დეპრესიული  
(გიორგი ლობჟანიძეს)

ეს გიორგის გასამხნევებლად დავწერე, დე-  
პრესია მაქესო, რომ ჩიოდა. აქაც და სხვაგა-  
ნაც, რითმები არაა საჭირო, გამაღიზიანებე-  
ლი და კომიტურია ევროპელის ყურისთვის.

ეს - მერამდენედ ვეღარ გაძლა ჭირის  
მუცელი.  
რა - თავის მოკვლა! უარესებს ხომ  
გავუძღლით?  
გადაიმალოს ყოფის კიდევ ერთი  
ფურცელი,  
უნდა დავბერდეთ, როცა მოვა  
სიკედლის ცელი,  
თქვას: - ამათ თორევას - სჯობს  
გავცელო მინდორი!

## გირაზი. კაუბო

აქ რეფრენული წყობაა, მარტო რეფრ-  
ენ-ფირმულა უნდა გაკეთდეს ერთხელ და  
მერე- თავისუფლად შეეწყოს ჩემი „ფსევ-  
დო- კაუბოური გამონათქვამები“

გზად კაუბო შემეყარა, მართალი და სიტყ-  
ვალია:  
- შენს ჯოგში არ შეგერიოს - ხარი - სხვისი  
დანადალი!

გზად კაუბო შემეყარა,  
ცხენს მოჰყავდა, განა მძაღ ვირს:  
“ვიდრე პირით რამეს ისვრი, დაიტენე ტვინი  
სალი!”

გზად კაუბო შემეყარა, მოიქნევდა ლაზის  
ლალი -  
“თავზე ბრიყვი რომ დაგესხას, ახლო გე-  
დოს იარაღი!”

გზად კაუბო შემეყარა,  
მოზიდავდა ცხენის აღვირს  
“კაცს სჭირდება სიტყვებიო,  
რომლისთვისაც ცხოვრება ღირს!”

გზად კაუბო შემეყარაცხენს  
მიჰეონდა ადრე სალი,  
გულს ისარი მოუჩანდადამეზნიქა  
ზეცის თალი.  
მომენტრა, გამახსენდა მშობლიური  
იალალი!

## დავითის ათი კონაუბაინი

(ციკლიდან - ერთობიზმი ბიბლიაში)

დიდია, რა ვიცი, ეროტიკა, თან ფემინიზმი ბიბ-  
ლიაში. მასში მოთხოვდილ ამბაზება აგებული.  
თავი პოემიდან „ქალი - სხეულით გამათბობელი“

რა გულმოდგინეთ გვემსახურებით,  
მოხვალ,  
რაც გაინდა, რაც სჭირდება  
მეფეთა მეფეს,  
მოანესრიგებთ  
და მორჩილად გაიკრიფებით

დავითის ათო კონკუბაინი,  
ათო კედარო ლიბანისა,  
ოდესალაც მართლა ტანკენარო,  
ცეცხლში დამწვარები,  
ათივე მუნჯო მოჩენებავ,  
ზეთის სანთლებით ხელში  
სასახლის

ბნელ ტალანებში თავდახრილად  
მოსიარულევ!

დავითის ათო კონკუბაინი,  
ემიმ ამიხსნა,  
ეგენი ერთად ერთ ოთახში,  
ჩვენი სასახლის მეორე ბოლოს ბალი  
როა, იქ ცხოვრობენო,  
ენის წვერი აევთ მოჭრილიო,  
ენის მოჭრა ამას ჰქვიაო,  
თორებ  
მთლიანი თუ მოაჭრეს,  
ადამიანი ლუკმას ვეღარც  
დაღეჭავსო,  
ენა - კბილებს ეხმარება,  
უკბილონი რომ იღმურზლებიან,  
ენას - კბილადაც მოიხმარენ.

დავითის ათო კონკუბაინი,  
სათითად დაპყრობილი  
ქვეყნებიდან  
არჩეულებო,  
საპარამხანედ მოყვანილებო.  
ვინ იცის,  
ვისი და იყავით,  
ვისი ასული ან ვის საცოლედ  
დანიშნული,  
ვის ეხსომება თქვენი სახელი!  
აქ ხომ წესია,  
ადამიანი სახელს უცვლიან,  
ახალს არქმევენ,  
მერე ეჩვევა და  
იმ ძელის დაძახებაზე აღარც მოგხედავს,  
სასახლის გარეთ ცხოვრებასავით  
ალბათ სიზმარში თუ ახსენდება.

ემიმ, დავითი  
უკვე კარგად ხანდაზმული  
მეფობის წამრომევ ძეს

## რევაზ მიშველაძე



მოხდა ისე, რომ დღეს იმ თითზე ჩამოსათვლელ ცოცხალ ქართველთა შორის ვარ, ვინც კონსტანტინე გამსახურდიას შეხვედრია.

პირველად

1956 წლის სექტემბერში მწერალთა კავშირის ბალში მწვანე მერჩე ერთად მჯდომი ორი გიგანტის - გალაკტიონის და კონსტანტინეს ხილვის ბედნიერება მქონდა.

მეორედ, 1975 წლის 5 აპრილს ზვიადმა მიმიყვანა კოლხურ კოშეში და ქართული მწერლობის პატრიარქთან ვრცელი საუბარი ჩავინარე. მესამე დღეს ეს საუბარი გაშიფრული მივართვით ბატონ კონსტანტინეს; წაიკითხა და წაანერა: „თანახმა ვარ დაიბეჭდოს, კონსტანტინე გამსახურდა“. იმ დღეს ქართული პროზის ქორა მახვისიგან უძვირფასესი საჩუქარი მივიღე. „დავით ალმაშენებლის“ II ტომი მაჩუქა ასეთი ავტოგრაფით - „კრიტიკოს რევაზ მიშველაძეს, პატივისცემით კონსტანტინე გამსახურდია“.

ეს საუბარი მაღლ უურნალ „განთიადში“ დაიბეჭდა სათაურით „დიალოგი კონსტანტინე გამსახურდიასთან“. მერე ჩემს არაერთ წიგნშია შეტანილი.

ზვიად გამსახურდია ჩემი თანაკურსელი იყო. იყი დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე სწავლობდა, მე - ფილოლოგიურზე, თუმცა არაერთ საგანში საერთო ლექცია გვექნდა და ახალგაზრდა მწერალთა წრეზეც (რასაც ზვიადი არასოდეს აცდენდა) ერთად დავდიოდით.

ამის შემდეგ მთელი მრისხანე ათწლეულები ჩატარდა.

უზარმაზარი წითელი იმპერია შეტორტმანდა და ყრუ გუგუნით ჩაეშვა ისტორიის სტომაქში.

ტანჯვით გადარჩენილი საქართველოს ხომალდი ეულად ირწეოდა აკად მოტორტმანე ფიორდებში და იმ ხომალდის ქიმზე იდგა ახოვანი, კეთილაღნაგი, ლამაზი კაცი — ზვიად გამსახურდია.

ზვიადის რეინისებურმა ნებისყოფამ და თანმიმდევრულმა კვეთებამ მიიყვანა საქართველო „საბჭოთა თხუთმეტთაგანი რესპუბლიკიდან“ დამოუკიდებელ საქართველომდე.

მაგრამ მტერს არ ეძინა.

ეჭვი არ იყო, დამპყრობელი რუსი საქართველოს დამოუკიდებლობას არ აპატიებდა.

ზვიადი სოლომონ ბრძენიც რომ ყოფილიყო, რუსეთი მას მაინც დაამზობდა.

ასეც მოხდა.

ოკუპანტის იარაღს შინაგამცემთა მელიაობაც დაემატა და ზვიადის ალ-

სასრულიც დადგა.

წუთისოფლის ნემეზიდამ მისი უფროსი შვილი - კონსტანტინე ზ. გამსახურდია შვეიცარიაში გადაკარგა.

ჩემს თავზეც დატრიალდა წუთისოფლის ავი ბორბალი.

ერთადერთი შვილი რუსეთ-საქართველოს ომში დავკარგე.

ვცდილობ ფეხზე დადგომას - დავეცმი, ვცდილობ - წაბორძიკებული ქვეყნის გადარჩენაში წილის დადებას - ვერ ვახერხებ.

ოცდამერთე საუკუნის მესამე წელია. მწერალთა კავშირის მდივნად

ბია ავტორს.

მოუძებნია, დაუმუშავებია და გამოუყენებია თითქმის ყველაფერი, რაც ზვიადის შესახებ გამოქვეყნებულა ქართულ თუ უცხოურ პრესაში.

მყარ მეცნიერულ საყრდენებზე დგას პასაჟები ზვიადის და მისი მეგობრების დასიდენტური ცხოვრების დასაწყისზე, საბჭოთა ციხეებში თუ საკონცენტრაციო ბანაკებში გატარებულ წლებზე, ფსიქოლოგიურ სადამსჯელო ზენოლაზე, რასაც რეჟიმი სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ მიმართავდა, „მრგვალი მაგიდის“

მაგრამ ობიექტურად წერს ერთ სირცხვილზე, რომელიც მწერალთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელობას დაემართა და რომელმაც ზვიადის მომავალი მაშინ ბევრილად განსაზღვრა; მწერალთა კავშირიდან გარიცხვის მერე ორ კვირაში ზვიადი დააპატიმრეს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს რომ იმ დღეს პრინციპულობა გამოეჩინა და ხელისუფლების ერთგული დამქაშის როლი არ ეთამაშა, მომავალი პრეზიდენტის ბედი სხვაგვარად შეტრიალდებოდა.

მწერალთა კავშირიდან ზვიადის გარიცხვის მთელი პრიცესი კარგად ვიცი. იმ სხდომის ოქმი პირველად მე გამოვაქეყნე „კრიტიკაში“.

ზოგი მწერალი რომ ტრაპახობდა, მე ხმა არ მიმიციაო, ტყუილია.

ბრალდების ჩანჩქერში, ზვიადს რომ თავზე დააფრქვიეს, მხოლოდ ორი პოეტის სიტყვაში გაკრთა თანაგრძნობის სიმი. ესენი იყვნენ ირაკლი აბაშიძე და მორის ფიცხიშვილი.

- კი, მაგრამ... ჩვენი ამხანაგის შვილს რომ ახლა დასაჭრად ვწირავთ, აქამდე დაიბარა ვინმემ მწერალთა კავშირში? ურჩია ვინმემ სხვა გზაზე დადგომა? - იკითხა ირაკლი აბაშიძემ.

- იქნებ გარიცხვისგან თავი შევიკავოთ და უკანასკნელი საყვედური ვაკმართოთ, - თქვა მორის ფოცხიშვილმა.

რაც შეეხება ხმის მიცემას, ვინც ესწრებოდა პრეზიდიუმის სხდომას, უკლებლივ ყველამ მისცა ხმა ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას.

იმ სალამოსვე ავედი კოლხურ კოშეში და ჩვენს რძალს - მანანა არჩაძეს ვუთხარი: ნუ გეშინიათ, ქალბატონო მანანა, ყველაფერი გამოსწორდება-მეთქი.

მე რისი მეშინია, რეზო, იმათ ეშინოდეთ, ვინც დღეს თავი მოიჭრა და ზვიადის გარიცხვას ხმა მისცა, მიპასუხა.

რა სათქმელია, მაგრამ აქვე დავსძნ, რომ 2004 წელს მწერალთა კავშირის მდივნად რომ ამირჩიეს, პირველსავე სხდომაზე აღვადგინე ზვიად გამსახურდია მწერალთა კავშირის ნევრად (სიკვდილის შემდეგ) და მისი ნევრობის წიგნის ხელი გვერდებს განვაშის ზარივით გასდევს შიში იმის შესახებ, რომ პრეზიდენტის სეტიალს სამეგრელოს ტყეებში, სოფლიდან სოფელში, მწყემსთა კარვებში სიცივესა და თოვაში გატარებულ ლამეებს. წიგნის ბოლო გვერდებს განვაშის ზარივით გასდევს შიში იმის შესახებ, რომ პრეზიდენტის ირგვლივ წრე ვიწროვდება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიკვდილია ჩასაფრებული და კაცი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა, თანდათან უახლოვდება გოლგოთას თავისი მძიმე ჯვრით მხარზე.

და ბოლოს ასევე დამაჯერებელია კოკო გამსახურდიას მსჯელობა ზვიადის სიკვდილის ვერსიებზე, უმრავლესობისთვის გარკვეულია, ხოლო ზოგისთვის ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, რა იყო იმ ღამით საბედისნერო გასროლა, ვერც დაცვამ რომ ვერ გაარკვია, ვერც ზვიადის გვერდით მნილმა გუგუშვილმა და ვერც კორუმპირებულმა სამართალ-დამცავებმა.

ამ წიგნის დაწერას მხოლოდ კოკო გამსახურდია თუ შეძლებდა.

კერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ იყო მთელი ამ ტრაგიკული ისტორიის ერთი მხარე და მეორეც, კოკო უაღრესად ერუდირებული, ნიჭიერი, ინფორმირებული პოლიტიკოსი და მეცნიერებმა.

ამ წიგნის შემდეგ ჭორებისთვის ადგილი აღარ რჩება, რომელმაც შემარტინი ეპიდემია გამოიწვია სამართალ-დამცავებმა. ამ წიგნის შემდეგ ჭორებისთვის ადგილი აღარ რჩება.

ხელთა გვაქს ჭეშმარიტი ეპიდემია გამოიწვია სამუშაო ჩაუტარებზე.

სასრულიც დადგა.

სასრულიც დადგა.

წუთისოფლის ნემეზიდამ მისი უფროსი შვილი - კონსტანტინე ზ. გამსახურდია შვეიცარიაში გადაკარგა.

ჩემს თავზეც დატრიალდა წუთისოფლის ავი ბორბალი.

ერთადერთი შვილი რუსეთ-საქართველოს ომში დავკარგე.

ვცდილობ ფეხზე დადგომას - დავეცმი, ვცდილობ - წაბორძიკებული ქვეყნის გადარჩენაში წილის დადებას - ვერ ვახერხებ.

ოცდამერთე საუკუნის მესამე წელია.

მწერალთა კავშირის მდივნად

მისი უაღრესად გამსახურდიას მონამებრივი ცხოვრებისადმი პატივისცემის გრძნობით, პუბლიცისტური სიფაქიზით,

## მურმან თავდიშვილი

დიდი ხანია, ევროპელმა სიტყვის ოსტატებმა შენიშნეს: მკითხველი სუფთა მხატვრულ გამონაგონზე უფრო მეტი ინტერესით ეკიდება დოკუმენტურ ამბებს, ქრონიკებს, ისტორიებს. ამგვარი მსასალა, უნდა ითქვას, სულ არ ზღუდავს ნიჭიერი კალმოსანის მხატვრულ ფანტაზიას, წარმოსახვით სივრცეს. ამიტომაც გაჩინდა ამ ტიპის ბევრი შედევრი. მხოლოდ ორს დავასახელებდი: გოლუორთის „ფორსაიტების საგა“ და თომას მანის „ბუდენბროკები“, რომლისთვისაც გერმანელ პროზაიკოსს ნობელის პრემიაც მიარღუნეს. სინამდვილის აღწერის ამგვარ გზას არც ქართული მნერლობა არიდებია. ამ მხრივ ჩვენც არაერთი ნიმუში შევქმენით. ამ ნაცად გზას შესდგომია მხერალი ნიკოლოზ კურტანიძე, რომელმაც ამას წინათ შემოგვთავაზა ქრონიკები „გზა ცხოვრებისა, ლეთისაგან კურთხეული“. როგორც ამ ტიპის თხზულებას შეეფერება, იგი ერთობ ვრცელია მოცულობით, ხოლო უანრობრივად – მრავალფეროვანი (ლექსი, ნერილი, მოგონება, მოთხოვბა, ნოველა...). ყველა ეს ჟანრი ემსახურება ერთ მიზანს: უფერადო, მარტივი თუ ხატოვან-ფერადოვანი ფრაზით წარმოაჩინოს ყოფიერება, ის მძიმე ცხოვრება, რომელიც ქართულმა უბრალო პროვინციულმა ოჯახმა გამოიარა XX საუკუნეში და ასე გადმოაბიჯა XXI ასწლეულში. აქ ერთი ოჯახის მაგალითზე ნაჩვენებია ქართული სოფლური ოჯახის ანატომიაც, გეოგრაფიაც, ისტორიაც. ნათქვამია: „გაჭირვება მიჩვენება და გაჭირვას გიჩვენებო“. ამ ანდრეზის აღსრულებაც შეინიშნება იმ ცხოვრებაში, რომელსაც ავტორი წარმოგვიდგენს. დიახ, ასეა: გაძლიერებულია აღმიანთა მიგრაცია; ათვისებული ადგილების მიტოვება და ახლის ძიება, ეგების გაჭირვებასა და ეკონომიკურ სიდურეში ძოლო მოედოს. დიახ, ადამიანები ძველ საცხოვრისებს გულისტკივილით ტოვებენ და ახალზე გადადიან; ნაცნობ-შეწევულ სოფელს განერიდებიან და სრულიად უცნობ კოლექტივებს მიეკედლებიან ხოლმე. ასე ხდება, როცა სიღატაე შეტევაზე გადადის და იმარჯვებას. ფაქტობრივად ჩვენი ავტორის ქრონიკები ტრაგედია უფროა, ვიდრე კომედია და ეს იმიტომ, რომ ცხოვრება ტრაგედიისათვის უფრო მეტ მასალას იძლევა, ვიდრე კომედიისათვის.

ამჟამად რა ხდება?

იმ წიგნის შთაბეჭდილებებიდან ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ და აი, წლეულს, 2023 წელს, ჩვენმა ავტორმა შემოგვთავაზა იმავე პრინციპით აგებული კრებული „სიყვარულის ბილიკებზე“, რომელშიც ლექსიც, ნერილიც, გამოხმაურებაც, ქრონიკული მასასაცა და ვრცელი მოთხოვბაც დოკუმენტურ საგას აგრძელებს, უკეთ – ასრულებს და უფროორ ამდიდრებს, უფრო მკვიდრ და სრულყოფილ სახეს ანიჭებს.

სანამ ამ ქრონიკების ორი მთავარი პროზაული ნიმუშის გამოწვლილვით განხილვაზე გადავიდოდე, მანამდე არ შემიძლია ორიოდე მართალი სიტყვა არა ვთქვა აქ წარმოდგენილ სალექსო ქრონიკებზე, უფრო სწორად, იმ კლასის ანიჭიერებისა და კალმოსანის კალმოსანის ამიტომაც და იგრძნობა.

თუ არა რაღაც მშობლიურს, ახლობელს, ნანინანატრ მელოდიას?

გარეთ თოვა დაინტერეს, კარმა გაიჭრიალა; კოხტა გოგო გეგეზრდება – ლამაზი და ცეკრიალ!

ამ ტიპის ბუნებრივი თქმები და ფრაზის ლალი და მსუბუქი მოქნევა სხვაც ბევრი შეინიშნება და მათი აღუნიშნაობა არ ეგების. ამიტომაც მწადია ისინიც წარმოვაჩინო. აბა, და განა კლასიკოსი ხალხოსნის იოსებ დავითაშვილის ფრთა-

ლი სიცოცხლის დამამკეიდრებელი პათოსი გამქრალია. და, როცა შემომანვება სევდა, არსაიდან რომ არაფრით არის ნაკარნახევი, უბიდან იმ სურათს დავაძრობ და სასოებით დავცეკერი, როგორც ან და მარადის მიუწვდომელი ოპტიმიზმისა და რნმენის სიმღერას, მიმქრალ, შორს მიმავალ ჰანგს, ველარასოდეს რომ ვეღარ მივენევი და დავიბრუნებ.

„მეორე დღესვე გაიწვიეს ივლიანე. 29 წლის ვაჟავაცს ვინ დატოვებდა სახლში. დარჩენ უცხო სოფელში: ჯანგატეხილი

ლი კაცის ნაწინასწარმეტყველევი: ახლა, სხვაზე რომ არა ვთქვა რა, მარტო სოფელ საირხეში ივლიანეს 5 შვილის 5 ორსარულიანი ოდა დგას“.

და მწერალი-მეისტორიეც თამამად დაასკვინის: „ყველაზე უფრო მოგებინი, დღევანდელი ენით რომა ვთქვათ, შვილების აღზრდაში ჩადებული ინვესტიცია“.

ქრონოლოგიური თანამიმდევრობა მოითხოვს, ეს ამონარიდიც ვიზიონოთ: „როცა ოთარმა (შვილმა) პირველი ხელფასი მოიტანა, დედამ და მამამ იტირეს“. სანამ ქრონიკის კიდევ ერთ ამონარიდს წარმოგიდგენდეთ, აუცილებელია იცოდეთ: „სამთო ტექნიკუმში გამოცდები ჩავაბარე. საბუთების შეტანაზე მამაც თან მახლდა. დირექტორმა მკითხა: – ბიჭო, მინისქვეშ რომ მოგინევს მუშაობა, არ გეშინიაო?“ მე სხარტად ვუპასუხე: – რატომ, ბატონი, ჭერს აგარტყამ თავს თუ რა? დირექტორი თვითონაც ტანდაბალი იყო და ჩაბჟირდა სიცილით, ხოლო მამაჩემი ჩემი გერგილიანი პასუხით დიდხანს ამაყობდა სოფელში“.

ქრონიკა მეტად მკაცრია და აუცილებლობით მოითხოვს ამ ცნობის გამოქვეყნებასაც: „1991 წ. დაგამთავრებამაჩემის წამოწყებული სახლი სოფელში. ორივე მშობელს უხაროდა შვილის წარმატებები ქალაქადაც და სოფლადაც“. სასახლეს სახურავი ამშვენებს, ოჯახურ საგას – სახურავივით კოპინია ეს ადგილი: „ქუთასის გადავიხადე შვილების – მაღაზისა და სოფიეროს – ქორწილი. 81 წლის ივლიანე თამადის მოადგილე იყო, არც ერთი ჭიქა არ დაუკლია, სიმღერითაც ბევრი იმღრავა“.

შემდეგ აღწერილია აღდგენილ-განახლებულ-აბიბინებული პაპამამური მამული და შიგ მოფუსფუსე ჩვენი ავტორ-გმირი. ვითარება ისეა წარმოსახული, შეუძლებელია არ მოგაგონოს გალაკტიონის „მამული“ – „ცვრიან ბალაზე თუ ფეხშიშველა...“

აპა, მინიურა ერთის ცხოვრებაც და „შაქრის წატეხივით ტკბილად დადნა ჩემი დედა“. დიდებული შედარებაა! ნავიდა დედა, ნავიდა მამა. დავრჩით შვილები, შვილიშვილები. მშობლებს ფიცის დადგინდებული და მარომ შიმშილთან, ავადმყოფობასთან, სიშიშვლესა და ჯავრთან ბრძოლა. ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა მათვის 1944 წელს: ერთი – აპრილის თვეში მე – ნიკოლოზ კურტანიძე – დავიბადები, ხოლო მეორე – გერმანელი ფაშისტები გარეკანს საზღვრებგარეთ, მაგრამ ამით ცხოვრება იოტისოდენადაც არ შემსუბუქებულა“. შემდეგ აღწერილია და დავრჩით შვილები, შვილიშვილები. მშობლებს ფიცის დადგინდებული და მარომ შიმშილთან, ავადმყოფობასთან, სიშიშვლესა და ჯავრთან ბრძოლა. ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა მათვის 1944 წელს: ერთი – აპრილის თვეში მე – ნიკოლოზ კურტანიძე – დავიბადები, ხოლო მეორე – გერმანელი ფაშისტები გარეკანს საზღვრებგარეთ, მაგრამ ამით ცხოვრება იოტისოდენადაც არ შემსუბუქებულა“.

მწერალის დიდ ჰანგის სანდახან სიხარულის პანია მელოდია ჩაენაცვლებორდა: „მე ყველაზე პატარა ვიყავი და ხშირად მამის მეტად გამოდინებულა. განხილვა ქრონიკის მიმდინარე და დიდი იყო მომავლის იმედი და შრომითი ენთუზიაზი“. მწერალის დიდ ჰანგის სანდახან სიხარულის პანია მელოდია ჩაენაცვლებორდა: „მე ყველაზე პატარა ვიყავი და ხშირად მამის მეტად გამოდინებულა ჩაენაცვლებორდა. ლმერთო, რა ბედნიერი ვიყავი მაშინი!“

ახლა ის ამონარიდი გავსინჯოთ, რომელიც თითქოს სერიოზულ მსმელ მამაჩემზე იყოს დანერილი: „ლვინ მეტად გამოდინებული და მარომ შიმშილთან, აისარკა საბჭოთა ეპოქის გარეკანს საზღვრებგარეთ, მაგრამ ამით ცხოვრება იოტისოდენადაც არ შემსუბუქებულა“. მწერალის დიდ ჰანგის სანდახან სიხარულის პანია მელოდია ჩაენაცვლებორდა: „მე ყველაზე პატარა ვიყავი და ხშირად მამის მეტად გამოდინებულა ჩაენაცვლებორდა. ლმერთო, რა ბედნიერი ვიყავი მაშინი!“

ახლა ის ამონარიდი გავსინჯოთ, რომელიც თითქოს სერიოზულ მსმელ მამაჩემზე იყოს დანერილი: „ლვინ მეტად გამოდინებული და მარომ შიმშილთან, აისარკა საბჭოთა ეპოქის გარეკანს საზღვრებგარეთ, მაგრამ ამით ცხოვრება იოტისოდენადაც არ შემსუბუქებულა“. შემდეგ აღწერილია აღდგენილ-განახლებულ-აბიბინებული პაპამამური მამული და შიგ მოფუსფუსე ჩვენი ავტორ-გმირი. ვითარება ისეა წარმოსახული, შეუძლებელია არ მოგაგონოს გალაკტიონის „მამული“ – „ცვრიან ბალაზე თუ ფეხშიშველა...“

აპა, მინიურა ერთის ცხოვრებაც და „შაქრის წატეხივით ტკბილად დადნა ჩემი დედა“. დიდებული შედარებაა! ნავიდა დედა, ნავიდა მამა. დავრჩით შვილები, შვილიშვილები. მშობლებს ფიცის დადგინდებული და ამით პატივს მივაგებდი მათ ხსოვნას, მაგრამ, როგორც ყველი, მეტ ვერ ვასრულებ ამ ფიცის. „ბედს მინდობილი კაცი“ კვალიფიციურად დანერილი დიდმოთხოვბაა, რუსები რომ, „პოვესტს“ უნდოებენ. აქაც სამავალი არა მამა არა მამა არა მამა ა

## ამირან კაჭახიძე

## კუმპანია-კუმპანია

„საშინელი დამის“ მერე, უთენია, რაიონის პოლიციის სამმართველოს ეზოში შეეცირიბეთ დაზაფრული თანამშრომლები. რამდენიმე მოწყენილი მოქალაქე ცალკე იდგა, ეტყობა მათი ახლობელი იყო დაკავებული. აქ ძირითადად საშუალო ფენის გაჭირვებული ხალხი თუ დაიწყებს ლოდინს...

სამორიგეოში მძიმე შმორის სუნი დამხვდა, კონსერვის ქილა სავსე იყო სიგარეტის ნამწვით, ვაშლისა და იაფ-ფასიანი ძეხვის ნარჩენებით. არყოს ორი ცარიელი ბოთლიც ურნაში ეგდო.

- ხვალ ბაბოჩემის წლისთავია შაუმიანში, აქაც, ეგეთი ტრაგედია ამბავი, „ზამენა“ კი არ მოდის. აი, ნახამთ, შემდეგ მორიგეობაზე „სპეციალნად“ უნდა დავაგვიანო. კომუნისტების დროს „ბარონივით“ ვიყავით, მაგათ ჩაყვითეს და „უჟე“ ჩვენი ნაღდი სახეც გამოჩენდა, ამათ ლუკმას ვჭამთ, - დაიბუზდუნა ქვემო-რიგემ და ხელი საკენებისკენ გაიშვირა.

სამორიგეოს გაზინზღულ ფანჯარას სანდომიანი სახის თვაცრემ-ლიანი ახალგაზრდა ქალი ირიბად მოადგა. მორიგემ ახედა და წერა გააგრძელა, ეტყობა ნაცნობი იყო მისთვის „მოსვლის შინაარსი“ და თავაუღებლივ გასცრა: - შემოუშვი, ოღონდ დროზე. - ქვემორიგემ ზლაზ-ნეითა და ზმორებით გააღო რკინის კარი. სამორიგეოში შუქი და სუფთა ჰაერი ერთიანად შემოიჭრა, კარიბ-ჭეზე სამიღდე წლის მოვლილი, თე-თრი ბიჭი გამოჩენდა. გაუბედავად შემოვიდა, ამოგვედა და ნაცნობი სახე რომ ვერ დაინახა, მოილუშა, თვალები ცრემლებით აევსო და ქვე-და ტუჩის კანკალით ამოილულულა:

- მამიკო მინდა. როგორც ჩანს, მოუთ-მენლად ელოდა ვიღაცა პატარას ხმას და სულმოუთქმელად უპასუხა: - აქ ვარ, შვილო, ჩემო სიცოცხლე და იმე-დო. გისოსებიდან ხელებგამოშვერილი, ჩაკუზული ელოდა „დაკავებული“ მამა საკუთარ შვილს. გულმა გულს ბრაგუნი უწყო. პატარა აჩქარებული ბარბაცით გაემართა მშობლისკენ. მამა-შვილი რომ ჩაეხუტნენ, თითქოს ყველაფერი გაჩერდა ორი დიდი ტორის გარდა, რომლებიც პანია კაცის ზურგს სათუთად ეფერებოდნენ. ბიჭუნა განაბულიყო და სიამოვნები-

სგან კრუსუნებდა, მამამ ბავშვს ხელ-ში რაღაც ჩაუდო.

- კაფუნტი - გაიპრდლვიალა ბიჭუნაში.
- „ხარაშო“, დროზე ახლა, - გასერა მორიგემ.

გაყინული გისოსები შეუვალი და მოუდრეკელი აღმოჩნდა მამაშვილურ სიყვარულთან. პანაზინა თითქობი მამიკოს გაუპარსავ სახეზე კუმპალ-კუმპალ დაგორებულ ცრემლებს ეთამაშებოდა.

ამ დროს სამორიგეოში პოლიციის პოლკოვნიკი შემოვიდა „შეშლილის“ სახით. ყველანი გავიჯგიმეთ. სამართველოს უფროსი საკენებთან მივიდა, დაკავებულები დაათვალიერა და მოტრიალდა. - მორიგე, რისთვის სხედან? - ოპერატიულმა ჯგუფმა აიყვანა, უფროსო, ეს ქალბატონები ფაბრიკიდან დატაცებულ ძაფებს იძენდნენ, ქსოვდნენ და კვალის დაფარვის მიზნით ბაზრობაზე ახდენდნენ ბავშვის წინდების და ასეთი რაღაცების რეალიზაციას, უფროსო. ეს ვაუბატონი კი ყოფილ ცოლთან მისულა ნასვამ მდგომარეობაში, ბავშვის სანახავად და ყოფილი სიდედრისთვის უგინებია, ბატონი. უფროსმა პატარას დახედა და ხმას დაუნია, - ვახ, ეს სიდედრები. შემდეგ მიიხედ - მოიხედა და მბრძანებლური კილოთი წარმოთქვა:

- გაანთავისუფლეთ ყველა! - ქვემო-რიგეს თვალები გაუდიდდა.

გაგიმეოროთ? გაყარეთ ყველანი გარეთ. ხალხი ასეთი იდიოტური ბრალდებებით დილეგში კი არ უნდა იტანჯებოდნენ, დღეს საქართველოს ნებისმიერი ნორმალური მოქალაქე, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლთა გვერდით უნდა იდგეს. მორიგემ საკენები ჭრიალით გააღო და დაკავებულები გარეთ გააცილა.

1989 წლის 10 აპრილს სრულიად საქართველო გლოვას მოეცვა. დილიდან, პოლიციის რამდენიმე თანამშრომელმა პარლამენტის შენობის წინ ყვავილები დავაწყვეთ დალუპული მომიტინგების საპატივცემულოდ. იქ მყოფმა, მტკიცე გამომეტყველების მქონე ადამიანებმა ხანმოკლე, მაგრამ ღონიერი ტაში დაგვიკრეს, აღბათ იმ წვლილისათვის, მშვიდობიანი მიტინგის დარბევის დროს ხალხის გადასარჩენად რაც გააკეთეს ქართველმა პოლიციელებმა. თავი რომ წამოვწიე, ჩვენი ნაცნობი „სიდედრის პატიმარი“ დავინახე ცოლთან... ერთად ხელიხელ გადახვეული, კისერზე შემომჯდარი პატარა ვაუბაცით, რომელსაც ერთ ხელში „კაფუნტი“ ეჭირა, ხოლო მეორეში - საქართველოს დროშა.

ლალი მოთიაშვილი ახალგაზრდა პოეტი ქალბატონია.

იგი 1975 წელს დაიბადა დაბა უნივალში, დაამთავრა დუშეთის პირველი საშუალო სკოლა და თსუ-ში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩინიკიცხა.

მშობლები საბერძნეთში ცხოვრობდნენ და მასაც იქ მოუწია გადასველი.

ათენში გათხოვდა, ორი არაჩვეულებრივი ქართველი ვაჟა-უაღა აღზარდა და რამდენიმე პროფესიას ზედმინევნით დაეუფლო.

დღესდღობით ორივე ქვეყანაში, საბერძნეთსა და საქართველოში ცხოვრობს, რადგან სამშობლოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

თვითონ შვევნიერი, ნაზი და დარბასელი ღრმა და ორიგინალური ხედით დაუდალავად უმღერის სიყვარულსა და თავის მამულს.

## ლალი მოთიაშვილი

\*\*\*

ამ მერცხალმა რა იპოვა

შენს სარკმელთან,

რას დაპირდნენ

შენი სახლის ცივი ქვები?

თავისუფალს,

სხეულიდან გასვლის წამებს

წამი გამცნობს...

თვით უფალი სიცხადისთვის,

ცეცხლის ენებს ჯოჯოხეთში

შენით აქრობს!

დაღლილი ხარ,

სარკმლიდან კი

ბასრი ფიქრის ყინვა ყივის.

ორ მტკაველად დაემჩნიერ გათენებას,

მაგრამ მაინც...

ამ მერცხალმა რა იპოვა

შენს სარკმელთან?

რას დაპირდნენ შენი სახლის

ცივი ქვები?

\*\*\*

დღეს აღარ ყვავილობს ვარდი და

პირიმზე,

მაგ თვალთა ლაუგარდით,

წუ მიხმობ, წუ მეძებ,

სამყაროს გულიდან ნაბიჯი მაშორებს,

შენი გულიდან - ათი სიცოცხლე.

აღმართის ბილიკებს ლილინით მიყყვები,

ლილილს ფურცლებით

სურვილს ვისაგზლებ.

დადგება ზამთარი,

სიწუმე დადგება,

პატარა ურჯინში ჩატყი სიცოცხლე.

უთემელი სიტყვებით იგსება ჰაერი,

წარსულში აღარ ვარ,

წუ მიხმობ,

წუ მეძებ.

\*\*\*

ჩემი ბავშვობის სხვენში

გადავინახე ლერთი,

გადავინახე მზე და

გადავინახე მინა...

გავიზრდებიდა, ვიცი,

მომაკლდებოდა რწმენა,

დამელეოდა მზე და

დამჭირდებოდა მინა.

\*\*\*

დაგაბრალებენ, სიყვარული არ შეგძლებია და

სამშობლოდან გადახვენილ იაგუნდს ჰეგახარ,

შენი სიცოცხლე მღელვარე ზღვის ერთი წვეთია,

შენივე დარდის ალიონზე ნისლივით ჩანხარ.

ვერმიხვალმზესთან, მისასვლელიბლივიარგაქს,

ბილიკის თავზე ბინადრობენ ძევლი ლერთიბი,

სვავს და მუზარადს მოსევენ, იომებ ალბათ,





## დავით ახლოური

\* \* \*

**დილით მეგობარი შემეტყობინა -**  
სოფელში ხომ არ  
წამოხვიდოდი... (ლექს კუძღვი ჩვენი  
ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილ მოსახლეობას და  
ამასთან ერთად, სრულიად საქართველოს)

ნეტავ ვიყო შენსავით წასასვლელი  
სოფელში,  
ვალაგებდე ჩანთას და მეზედმეტოს  
„ბოტასი”...  
კელაპტრები მიშქონდეს დასახორცად  
ქოხებში  
და სიყვარულს ვუხსნიდე გოგოს ჯინსებ  
მოტმასნილს...)

ცოტა მენანებოდეს ქალაქური იერი -  
მთის ვწებიან მზეებთან ნებით  
შესაფიცხები,  
იქ, ღრუბლების ჩეროში, რომ არ დავრჩე  
მშიერი,  
რომ არ გამიჯევილდნენ ძველ ამბარში  
ვირთხები,

მქონდეს უკვე წაყიდი წამალი და ტყვიები,  
ოლონდ გადანახული და სადღაცას  
საძებნი...  
ავიდოდი თუ არა, სანთლებს მოვიძიებდი,  
გავააფავდი ხატის გზას, წაცნობს შავი  
ძაძებით.

უფალს შევავედრებდი ჩემს საფიცარ  
ქვეყანას,  
დედაჩემის სულსა და მზეგარდასულ  
ბავშვობას,  
ამ გულსა და სიყვარულს მივართმევდი  
ბეგარად  
წარსულს, იქ რომ დავტოვე, დღეებს,  
აქ რომ დამშორდა.

მტარვალსა და მამაძალს ავიკლებდი  
გინებით  
ისე, მორცხვი იები გასაქცევად იწევდნენ...  
სოფლის თავში ტყემლების ტყეში  
დავიძინებდი,  
ვიდრე დილით ირმები რქენით  
გამაღვიძებდნენ.

ნეტავ ვიყო შენსავით სოფელში  
წასასვლელი  
და ვფიქრობდე სახლის წინ გადასაფენ  
ჭილობზე,  
სულ არ მენაღვლებოდა ალბათ საჭმელ-  
სასმელი,  
თუკი წამიკითხავდი ანასა და ჭილაძეს...

შერე ლექსაც დავწერდი ჩემეულს და  
უხიაგს,  
მზეზე გამოვაშრობდი გადათხაპნილს  
მიტარბით...  
ხშირად ვინახულები საწილოს და  
მუხლის სასაფლაოს და გადასასვლელის  
გადავიტანდი...

.....  
დღეა რაღაც უჟამო, მგონი უფრო  
შავ-თეთრი,  
ვინ დამინთებს კელაპტრებს მიტოვებულ  
ქოხებში?!  
სულ ამ მონატრებით და მოლოდინით  
გავთეთრდი...  
ნეტავ ვიყო შენსავით წასასვლელი  
სოფელში...

\* \* \*

კუძღვი ბებიის -  
ქეთევან პავლიაშვილის ხსოვნას

ჩემს ბებოს ოთახში ეკიდა სურათი  
ბრძოლებში დაღლილი, ნაჯაფი პაპისა,  
არაყს შემოდგამდა ტაბლაზე სურით და,  
ჭანჭურის შარბათი მოჰვავდა თაფლისას.  
  
ერბოკვერცხს შეწვავდა პატარა ტაფაზე,  
ვიზყოფთ ღვთისას და მშვიდობას ყოველთა,  
ცრემლივით შემორჩია წარსულის დაფაზე  
ტკივილი, რომელიც თან გაჰვევა  
„პოვლეთ ქალს”...

მე დღესაც მგონია ღმერთივით უნაკლო  
ბებია, ჩუმად რომ თვალებს იოსებდა,  
სიკვდილმა წაროთვა შვილები უმანკო,  
მათ თავს აბარებდა პაპა იოსებას...

ძალიან მიყვარდა ჩემი ქეთო ბაბო,  
სურდა შევხედროდი ღვთისდარ  
მზექალასა,  
თითქოს ახლაც ჩემს წინ დგას და  
მშვიდად ამბობს:  
„სულსაც მირჩევნიხარ და მთელ  
ქვეყანასაც”...

ალბათ იქაც ჯავრობს, მზეს რომ მეცილება  
ის, ვინც ქარჩოხიდან სადღაც გამაძევა,  
ჩემი თბილი ბებო... როგორ ეციება,  
ისეც ცივი იყო მისი ტაბარძენა.

მაინც მანუგეშებსა: „ჩემი არე-მარე,  
სხვას უერ დარჩებაო, გენამლოს ბებია”...  
ღმერთო მაპატიე, რომ ვერ მოვუარე  
მინას, რომელშიაც წინაპრის ძვლებია!

## პეტი რცდაჩვიდვათი

სხივჩამდგარი დღეები ღამით ფერებს  
იცლიან,  
ქვეყნად მარადიული არაფერი ყოფილა...  
ჩაუსაფრდათ სიკვდილი  
პაოლოს და ტიციანს...

მუშათა კლასს გაუყვეს პური და  
ორცხობილა.

მოკლეს ჯავახიშვილი... ახმეტელიც  
გვინამეს...

მიქელაძეს ოცნება დაუმსხვრიეს  
ლაჩრებმა...

ბნელი ოცდაჩვიდმეტი...  
ვერ ვივინებ იმ წამებს,

წამსვლელია ვინც მოდის, აქ არავინ  
დარჩება...

ჩვალ სხვა უნდა არჩინოს მინამ  
კაცადყოფილმა...

იღლებიან თვალები...

ხასიათიც იცვლება...

